საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 20 მაისი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/32

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა - ,,საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი“ დამტკიცების შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 16 მაისის სხდომის (ოქმი № 3) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;

პროგრამის ხელმძღვანელები - ასოცირებული პროფესორი მაია ბარამიძე, თანახელმძღვანელი უფროსი მასწავლებელი მანანა სულაბერიძე;

მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა

- საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი.

პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი მაია ჭიჭილეიშვილი.

2. დადგენილებით იხელმძღვანელონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა და შესაბამისმა ფაკულტეტმა.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია